დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2014
სუს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE013IM54143901011004271<<<<
6208015M2506126GE0<<<<<<<<<<<5
KIKAVA<<NIKOLOZ<<<<<<<<<<<<<<

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები
(დასკვნა)

ქ. თბილისი, ნ. საჯაიას ქ. №1 (წაკ. ს/კ: 01.19.23.009/157), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საამშენებლო მოედანი



ინდ. მეწარმე

ს. კანდელაკი

თბილისი 2024 წ.

დასათაურება

I. შესავალი 4

II. ზოგადი ნაწილი. გეოგარემოს ზოგადი დახასიათება 5

II.1. კლიმატი 5

II.2. ჰიდროგრაფია 5

II.3. გეომორფოლოგია 5

II.4. შესწავლილობა. ტექტონიკა, გეოლოგიური აგებულება 7

II.4.1. საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლილობა 7

II.4.2. ტექტონიკა, გეოლოგიური აგებულება 7

II.5. ჰიდროგეოლოგია 8

II.6. სეისმოლოგია 9

III. სპეციალური ნაწილი 10

III.1. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები 10

III.2. ლაბორატორიულ-გეოტექნიკური გამოკვლევების შედეგები 10

III.3. გრუნტიდან გამონატუტის ქიმიური ანალიზის შედეგი 14

IV. დასკვნები და რეკომენდაციები 15

ცხრილები და გრაფიკები:

ცხრ.1. გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგების კრებსითი ცხრილი 16

ცხრ.2. გრანულომეტრიული შემადგენლობის განსაზღვრის შედეგები 17

ცხრ.3. გრუნტების მახასიათ. ექსპერიმენტ. მონაცემების ვარიაციული სტატისტიკის მეთოდებით დამუშავების შედეგები 18

ცხრ.4. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბირატ. კვლევის შედეგები 19

გრაფ. 1-3. გრუნტის კომპრესიაზე გამოცდის შედეგები 20

გრაფ. 4-6. გრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები 23

ცხრ.5. დარღვეული სტრუქტურის ნიმუშების კვლევის შედეგები 26

ანგარიში. კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები 27

ცხრ.6. წყლის სინჯის ქიმიური ანალიზის შედეგი 31

ნახაზები:

ნახ.1. ჭაბურღილების განლაგების რუკა 33

ნახ.3-6. ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტი 34

ნახ. 7-8. საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი 37

ფოტომასალა 40

ტექნიკური დავალება

საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევებზე

ქ. თბილისი ,,24“ივლისი 2024 წ.

- დამკვეთი - შპს ,,ბილდ ჯორჯია“ (ს/კ: 405085731).

- ობიექტის დასახელება - მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა.

- ობიექტის მდებარეობა - ქ. თბილისი, საჯაიას ქ.№1. (ნაკვეთი ს/კ: 01.19.23.009/157).

- დაპროექტების სტადია - მუშა პროექტი.

- შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით - III.

- ობიექტის ტექნიკური დახასიათება:

• მშენებლობის ტიპი - ახალი მშენებლობა;

• სართულიანობა - 8 (პანდუსით);

• სარდაფის ჩაღრმავება - 1 დონე (ავტსადგომი);

• ტიპი - კარკასული.

- საძირკვლის ტიპი - განისაზღვროს გეოლოგიური კვლევების შედეგებიდან გამომდინარე.

- სამთო გამონამუშევრების რაოდენობა და სიღრმე განისაზღვროს გეოლოგის მიერ **СНиП 1.02.07-87** თანახმად.

ლაბორატორიული კვლევები:

▪ **შეკავშირებული და ფხვიერი გრუნტების ფიზიკური თვისებები** - ტენიანობა (**W**), ატებერგის ზღვრები (W_P; W_L), ფორიანობა (**n**), ფორიანობის კოეფიციენტი (**e**), სიმკვრივე ბუნებრივი (**P**), სიმკვრივე ჩონჩხის (P_d), წყალშემცველობის ხარისხი (S_r), კონსისტენციის მაჩვენებელი (J_L), დეფორმაციული და სიმტკიცის მახასიათებლები.

▪ **ძირითადი კლდოვანი ქანების (გრუნტების)** - სიმკვრივე (**ρ**), წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში (R_{sw}), პუასონის კოეფიციენტი (**μ**). განსაზღვრულ იქნას საფუძვლის გრუნტების კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით.

- გრუნტის წყლების არსებობის პირობებში - განისაზღვროს წყლის ქიმია და გეოგარემოს აგრესიულობა ბეტონის კონსტრუქციებზე, ხოლო არარსებობის პირობებში აგრესიულობა განისაზღვროს გრუნტის გამონატუტის ქიმიზმით.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევები შესრულდეს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად; საინჟინრო გეოლოგიური კვლევის დოკუმენტაცია (ტექნიკური ანგარიში) წარმოდგენილ იქნეს აკინძული 2 ეგზემპლარად, ელექტროვერსიის თანდართვით.

ტექნიკური მენეჯერი პ. გელაშვილი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების პროგრამა

პროგრამა შედგენილია ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები მშენებლობისათვის), ს.ნ. და წ. პნ.02.01-08 (შენობებისა და ნაგებობების ფუძეები) და ს.ნ. და წ.2.02.03-85 მოთხოვნათა გათვალისწინებით. დამკვეთის მომართვისა და წარმოდგენილი ტექნიკური დავალების მიხედვით, ქ. თბილისში, ნ. საჯაიას ქ. №1 (ნაკვ. ს/კ: 01.19.23.009/157), 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის საამშენებლო მოედანზე, საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად ჩასატარებელია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, რომლის მიზნობრივი დანიშნულებაა ნაგებობის დაფუძნების პირობების დადგენა. დასახული ამოცანის გადასაჭრელად აუცილებელია:

1. მოპოვებული და შესწავლილ იქნას არსებული ფონდური მასალები.

2. ვიზუალურად გამოკვლეულ იქნას საამშენებლო მოედანი და მისი მიმდებარე ტერიტორია არასასურველი გეოდინამიკური პროცესების გამოვლენა-პროგნოზირების მიზნით.

3. სამთო გამონამუშევრებს შორის მანძილი და სიღრმე განისაზღვროს ტექნიკური დავალებიდან გამომდინარე და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, 13.0 მ.

4. გაყვანილ იქნას 5 ჭაბურღილი, საბურღი აგრეგატით უგბ-1 ვს, გაზ-66-ის შასიზე. კლდოვანი ქანების ნორმატიულ სიღრმემდე გახსნის პირობებში, ბურღვა უნდა გაგრძელდეს გამოფიტულ ქანებში და სახურავიდან ჩაღრმავდეს 1-2 მეტრით.

5. აღებული იქნას გრუნტების ყველა სახესხვაობებიდან დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის გრუნტების სინჯები.

6. საფუძვლის გრუნტების ან წყლის სინჯების ქიმიური ანალიზით განისაზღვროს, გეოგარემოს აგრესიულობის ხარისხი ბეტონებზე და კონსტრუქციებზე.

7. გრუნტების ნიმუშების ლაბორატორიული კვლევებით უნდა დადგინდეს:

შეკავშირებული და ფხვიერი გრუნტებისათვის: ა. ფიზიკური. ბ. დეფორმაციული. გ. სიმტკიცის მახასიათებლები.

კლდოვანი ქანებისათვის: ა. სიმკვრივე (ρ), **ბ.** ზღვრული წინაამღდეგობა ერთღერძა კუმშვაზე ბუნებრივ (Rs) და წყალგაჯერებულ (Rsw) მდგომარეობაში.

8. საველე და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე ს.ნ.და წ. 1.02.07-87-ის მე-9 დანართის მოთხოვნათა გათვალისწინებით შედგეს ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ანგარიში (დასკვნა), რომელშიც მოცემულია ნაგებობის დაფუძნების პირობები და შესაბამისი რეკომენდაციები. დასკვნა წარმოდგენილ იქნას 2 ეგზემპლიარად ელექტრონული ვერსიის თანდართვით. ტოპოგეგმა წარმოდგენილია დამკვეთის მიერ 1:500 მასშტაბში.

ინჟინერ-გეოლოგი ს. კანდელაკი

I. შესავალი

შპს „ბილდ ჯორჯია“-ს (ს/კ:01.19.23.009/157) მომართვის საფუძველზე, გაფორმებული 2024 წლის 23 ივლისის ხელშეკრულების თანახმად, ინჟინერ-გეოლოგის ს. კანდელაკის (პ/ნ:31001006 323) მიერ, ქ. თბილისში, საჯაიას ქ. №1-ში, ივლის-აგვისტოს თვეში, 8 სართულიანი (პანდუსით) საცხოვრებელი სახლის საამშენებლო მოედანზე (ნაკ: 01.19.23.009/157) განხორციელდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, რომლის მიზნობრივი დანიშნულება იყო შენობის დაფუძნების პირობების დადგენა. ტექნიკური დავალების თანახმად, ამ ამოცანის გადასაჭრელად მოძიებულ იქნა არსებული საფონდო და ლიტერატურული მასალები, განხორციელდა ტერიტორიის სარეკოგნოსცირებო და ვიზუალური დათვალიერება. ჩატარდა საველე და ლაბორატორიული კვლევები. ჭაბურღილების გაყვანა განხორციელდა საბურღი აგრეგატით უგბ-1 ვს, გაზ-66-ის შასიზე. ლაბორატორიული კვლევები შესრულდა შპს „გეოინი“-ს ლაბორატორიაში, რომლის საფუძველზედაც შედგა შესაბამისი ანგარიში (დასკვნა).

ჩატარებულ სამუშაოთა სრული მოცულობები მოყვანილია ცხრ. 1.1-ში.

ცხრილი 1.1.

№	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა
1	2	3	4
I.	**საველე სამუშაოები**		
1	სამთო ნამუშევრების გაყვანა		
1.1	5 ჭაბურღილი	გრძ. მ.	65.0
1.2	სინჯების აღება	სინჯი	15
II	**ლაბორატორიული კვლევები**		
1.	შეკავშირებული და ფხვიერი გრუნტები		12
2.	ნახევ. კლდ. გრუნტების ტესტები ერთღერძა კუმშვაზე		3
III	**კამერალური სამუშაოები**		
1.	ანგარიშის შედგენა	დასკვნა	1

ტოპოგეგმა მ.1:500 წარმოდგენილია დამკვეთის მიერ.

II. ზოგადი ნაწილი. გეოგარემოს ზოგადი დახასიათება

II.1 კლიმატი

საკვლევი რაიონის კლიმატი ზომიერად კონტინენტურია, ახასიათებს ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. რაიონის გეოგრაფიული კოორდინატებია: X - 41^{0}48'; Y - 44^{0}47', აბს. ნიშნული 449 მ. ბარომეტრული წნევა 950 ჰპა. საქართველოს კლიმატური დარაიონების მიხედვით იგი მიეკუთვნება IIIგ რაიონს. ტერიტორიის წლის საშუალო ტემპერატურაა 11.5^0, საშუალო მაქსიმალური 30^0, ხოლო საშუალო მინიმალური -9^0, აბს.მაქსიმალური 40^0, აბს. მინიმალური -24^0. წლის საშუალო ფარდობითი ტენიანობაა - 67%, ყველაზე ცივი თვის - 60%, ყველაზე ცხელი თვის - 40%. ნალექების წლიური საშუალო რაოდენობა შეადგენს - 550 მმ, ხოლო დღეღამური მაქსიმუმი 143 მმ-ია. თოვლის საფარის დღეთა რიცხვი შეადგენს 14-ს, წონა კი 0.50 კპა-ს. ქარის წნევა 5 წელიწადში ერთხელ 0.73 კპა, 15 წელიწადში ერთხელ 0.85 კპა. ყველაზე მეტად ქრის სამხრეთ დასავლეთის მიმართულების ქარები და მათი რაოდენობა 29%-ია. უქარო (შტილი) დღეების რაოდენობა 23%-ია. ქარის უდიდესი სიჩქარე წელიწადში ერთხელ 28 მ/წმ, 5 წელიწადში ერთხელ 33 მ/წმ, 10 წელიწადში ერთხელ 35 მ/წმ, 15 წელიწადში 36 მ/წმ, 20 წელიწადში 37 მ/წმ. გრუნტების გაყინვის ნორმატიული სიღრმე შესაბამისად შეადგენს:

თიხოვანი და თიხნარი - 23 სმ; წვრილი და მტვრისებრი ქვიშა და ქვიშნარი - 28 სმ;

მსხვილი და საშუალო სიმსხვილის ხრეშისებური ქვიშის - 30 სმ; მსხვილნატეხი - 3ჯკ,4 სმ.

II.2. ჰიდროგრაფია

რაიონის მთავარი ჰიდროგრაფიული ერთეულია მდ. მტკვარი. ქსელის ხასიათის მიხედვით თბილისის მიდამოები ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: მარჯვენანაპირეთში ჰიდროგრაფიული ქსელი უფრო ხშირია, ვიდრე მარცხენანაპირეთში, მდინარეებს ვიწრო ხეობები, მეტი ვარდნა და დახრილობა აქვთ.

მტკვარი შერეული საზრდოობის მდინარეა, იკვებება თოვლით, წვიმით და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში. შემოდგომაზე ხანდახან წყალმოვარდნა იცის. ივლის-აგვისტოში წყალმცირობაა, მდგრადი წყალმცირობა კი ზამთარში იცის.

თბილისის მიდამოებში მტკვარს რამდენიმე შენაკადი აქვს. მარჯვენა შენაკადებიდან მთავარია: დიღმისწყალი, ვერე და წავკისისხევი.

II.3. გეომორფოლოგია

თბილისი და მისი მიდამოები საკმაოდ რთული მორფოლოგიური (ტექტონიკური, ლითოლოგიური) აგებულებისაა. მან განიცადა როგორც ძველი, ისე თანამედროვე ეროზიულ-დენუ-

დაციური და აკუმულაციური პროცესების ინტენსიური ზემოქმედება. ამის შედეგად რელიეფი ნაირგვარია.

ყურადღებას იქცევს თბილისის მიდამოების მარჯვენანაპირეთსა და მარცხენანაპირეთს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებანი. მარჯვენანაპირეთის შემოგარენი უფრო მაღალ ნიშნულებზე მდებარეობს, უმეტესი ნაწილი მთაგორიანია. რელიეფი ძირითადად წარმოდგენილია თრიალეთის ქედის ანტიკლინური განშტოებების მკვეთრი ფორმებით და მათ შორის მოქცეული სინკლინური ხევ-ხეობებით, რომელიც უფრო ციცაბოა და ძლიერ არის დაღარული მდინარეთა ხეობებით და ხრამებით. მარცხენა ნაპირეთი რელიეფის ფორმები შერბილებულია, ნიშნულები შედარებით დაბალია, ნაკლებად დანაწევრებულია.

თბილისის მიდამოებში არის რელიეფის მსხვილი ფორმები, რომელთა წარმოქმნაში წამყვანი როლი ტექტონიკურმა პროცესებმა შეასრულა: სხვადასხვა დროის ოროგენეტიკური მოძრაობების შედეგად აქ ჩაისახა და განვითარდა სინკლინური და ანტიკლინური ნაოჭები, შეიქმნა რელიეფის მსხვილი სტრუქტურული ფორმები. ოროგრაფიული ერთეულებიდან თბილისის სამხრეთ საზღვარზეა თელეთის ქედი, რომლის სიგრძე მდ. მტკვრიდან დასავლეთით 13-14 კმ-ზეა გადაჭიმული, ამავე მიმართულებით ქედი მაღლდება 441.0 მ-დან 1100.0 მ-მდე. თელეთის ქედზე მდებარეობს მწ. შავნაბადა (825 მ). თელეთის ქედის გაგრძელებას დასავლეთით წარმოადგენს კოჯორ-საყარაულოს ქედი (მწ. საყარაულო 1473 მ), რომელიც დასავლეთით თანდათან მაღლდება და მდინარეების ვერესა და ალგეთის საკმაოდ მაღალი წყალგამყოფით უკავშირდება თრიალეთის მთავარ ქედს. თელეთის ქედის სამხრეთით მდებარე კუმის-წალასყურის ვაკე და კუმისის ტაფობი ვაკე-წალასყურის სერით ორად იყოფა: წალასყურის (აღმოსავლეთით) ვრცელ და მაღალ (აბს. ნიშნული 600-700 მ) და კუმისის (დასავლეთით) შედარებით დაბალ (აბს. ნიშნული 500 მ-მდე) და მცირე ვაკედ.

თბილისის სამხრეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეზე, მდებარეობს ფონიჭალის ვაკე, რომელსაც ჩრდილოეთით თელეთის ქედი ესაზღვრება, სამხრეთით იაღლუჯის მაღლობის ჩრდილოეთი კალთები, დასავლეთით კუმის-წალასყურის ვაკის აღმოსავლური კიდე და ის ბექობი, კუმისის ტბას რომ ეკვრის აღმოსავლეთიდან. ფონიჭალის ვაკე მტკვრის ნაპირამდე ვრცელდება, მისი ზედაპირი სწორია და დაფარულია მეოთხეული ასაკის ფხვიერი დანალექებით. თელეთის ქედის ჩრდილოეთით, მტკვართან ახლოს, ჩადაბლებულ ადგილში მდებარეობს კრწანისის ვაკე. მას სამკუთხედის ფორმა აქვს ფუძით მტკვრისაკენ. ჩრდილოეთით მას თაბორის ქედი ესაზღვრება, სამხრეთით თელეთის ქედი. აბსოლუტური სიმაღლე 380-425 მეტრის ფარგლებში მერყეობს. სიგრძე 2.5 კმ-ია, სიგანე 0.2-1.0 კმ-ია. ვაკე აგებულია მეოთხეული ფხვიერი დანალექებით.

II.4. შესწავლილობა, ტექტონიკა, გეოლოგიური აგებულება

II.4.1. საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლილობა

საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაციული მასალა არსებობს, როგორც საქართველოს ფარგლებში ჩატარებული რეგიონალური ხასიათის 1:200 000 მასშტაბის კვლევების, ასევე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების სახით. საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მდ. მტკვრის ხეობაში 1985-1990 წლებში ჩატარებული 1:25000 მასშტაბის სპეციალურ ანგარიშში (ა. ცაგურიშვილი და სხვები, 1990 წ).

თანამედროვე გეოლოგიური პროცესების გავრცელება, ფორმირების პირობები და დინამიკა განხილულია ალ. ჯანელიძის შრომაში: „თბილისის მეწყერები და მეწყერული მოვლენების მნიშვნელობა“ 1949 წ.

სხვადასხვა დროის ოროგენეტიკურ მოძრაობების შესწავლას მიეძღვნა ალ. თვალჭრელიძის ნაშრომი „თბილისის მიდამოების ნაოჭები“ 1949 წ.

ტერიტორიის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარებული აქვს პროფ. გ. ჯაფარიძეს ნაშრომში: „თბილისის საინჟინრო გეოლოგია“ 1974 წ.

ჰიდროლოგიური კვლევები ჩატარებულია გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში (ი. ბუაჩიძე, დ. კაჭარავა, გ. ჩხაიძე და სხვები). ასევე გასული საუკუნის 80-იან წლებში განხორციელდა კვლევები და გამოიცა 1:200 000 მასშტაბის სახელმწიფო ჰიდროგეოლოგიური რუკა (ლ. ხარატიშვილი, ლ. ვარატინცევა), რომელშიდაც მოქცეულია საკვლევი ტერიტორია.

გეომორფოლოგიური კვლევები ჩატარებული აქვს ლ. მარუაშვილს (1971 წ), დ. წერეთელს (1886 წ), მ. ასტახოვს (1973 წ) და სხვებს. აღნიშნულ კვლევებში დეტალურადაა განხილული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური ბუნება და რელიეფის ტიპები.

II.4.2. ტექტონიკა, გეოლოგიური აგებულება

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების (ე. გამყრელიძე, 2000 წ) მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის (III), ართვინ-ბოლნისის ბელტის (III_2), ბოლნისის ქვეზონას (III_2^2). იგი წარმოადგენს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაბოლოებას. აგებულია ზედა ეოცენის (P_2^3) და ოლიგოცენის (P_3) ტერიგენული ნალექებით. მათი სიმძლავრე 500 მ-მდეა. შუა ეოცენის, ქვედა ეოცენ-პალეოცენის და ზედა ცარცული ასაკის ნალექებს აქ ძირითადად მცირე სიმძლავრეები გააჩნია.

თბილისი და მისი მიდამოები აგებულია მესამეული (P) ასაკის ტერიგენული და ტუფოგენური ქანებით. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეოთხეულ (მდინარეულ და ტბიურ) დანალექებს.

მარჯვენანაპირეთში ვრცელი ფართობი უჭირავს ზედაეოცენურ (P_3) დანალექებს, რომელიც წარმოდგენილია თაბაშირიანი თიხებითა და ქვიშაქვებით. ამ დანალექი ქანებით არის აგებული მთლიანად მდინარეების დიღმისწყლისა და ვერეს აუზები. იგივე ნალექებია გავრცელებული კოდა-წალასყურის მიდამოებში.

სამხრეთ ნაწილში რელიეფის აგებულებაში მონაწილეობს შუა ეოცენური ტუფოგენური დანალექები უხეშმარეობრივი და მასიური ანდეზიტური ტუფობრექჩიები (ანდეზიტური საფარით), კერძოდ ისინი აგებენ თელეთის, თაბორის და სოლოლაკის ქედებს. თელეთისა და თაბორის ქედების ნაოჭები მტკვრის მარცხენა მხარეზე გადადიან, მაგრამ იქ იძირებიან და ტუფოგენური წყება ზემოდან დაფარულია თიხებით, ფიქლებითა და ქვიშაქვებით. თელეთის ქედის დასავლეთ გაგრძელებაზე მდებარე კოჯორის ქედის აგებულებაში ეოცენის თიხებთან და ქვიშაქვებთან ერთად, მონაწილეიობს აგრეთვე შუა ეოცენის ტუფოგენური ქვიშაქვები, ტუფობრექჩიები, ქვიშაქვები და ფიქლები. ოლიგოცენ-შუამიოცენის ასაკის თაბაშირიანი თიხებით და ქვიშაქვებით არის აგებული შედარებით მცირე ფართობი, დიღმის ვაკის დასავლეთით მდებარე თრიალეთის ქედის მთისწინეთი.

თბილისსა და მის მიდამოებში ფართოდაა გავრცელებული მეოთხეული ალუვიური, დელუვიურ-პროლუვიური და ტბიური ნალექები. ალუვიონი წარმოდგენილია მდ. მტკვრის სანაპირო ზოლში ტერასების ფრაგმენტების სახით და აგებულია კაჭარ-კენჭნარებით, ქვიშებით თიხნარებით და თიხებით. ადრე მეოთხეული ალუვიური კენჭნარებით, ქვიშებით, თიხნარით და თიხებით არის დაფარული დიღმის და ფონიჭალის ვაკე. დელუვიურ-პროლუვიური ნალექები, რომელიც მეტწილად თიხნარების, ლიოსისებური თიხებისა და ღორღისაგან შედგება, გავრცელებულია მთაწმინდისა და თელეთის ქედის ფერდობებზე, საბურთალოს და დიღმის მიდამოებში. თვით ქალაქში და მის მიდამოებში განვითარებულია ტბიური ნალექები: კუმისის და ლისის ტბების ქვაბულში, ზოოპარკისა და აკადემქალაქის ტერიტორიაზე და სხვა.

თბილისსა და მის მიდამოების რელიეფისათვის დამახასიათებელია მეწყერული მოვლენები. ისინი ძირითადად განვითარებულია თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ შტოქედზე. თბილისის მეწყერები და მეწყერული პროცესები შესწავლილი აქვს აკად. ალ. თვალჭრელიძეს.

II.5. ჰიდროგეოლოგია

ქ. თბილისის ტერიტორიაზე გამოიყოფა სამი ტიპის გრუნტის წყლები:

- მეოთხეული (Q) ასაკის გრუნტის წყლები;
- ზედა ეოცენური (P_3) ასაკის ნაპრალური ცივი წყლები;
- შუა ეოცენური (P_2^2) ასაკის ნაპრალური თერმული წყლები.

გრუნტის წყლები განვითარებულია გაშიშვლებული ქანების ელუვიურ ზონაში. წყაროების დებიტით გამოირჩევიან ზედა ცარცული (K_3) ასაკის კარბონატული ქანების წყლები. გრუნტის წყლებს, ზედა ეოცენის ქვიშოვან-თიხოვანი ჰორიზონტების გამოკლებით, გააჩნიათ სუსტი

მინერალიზაცია და ჰიდროკარბონატულ კალციუმიანი ან ნატრიუმიანი შემადგენლობა. გრუნტის ფოროვანი წყლები გავრცელებულია ალუვიურ ქვიშოვან-თიხოვან ნალექებში მდ. მტკვრის ჭალაში და მის დაბალ ტერასებზე. ისინი ხასიათდებიან კარგი სასმელი თვისებებით და საკმაოდ დიდი დებიტით.

შუა ეოცენის (P_2^2) ვულკანურ-დანალექი ქანების შრეებთან დაკავშირებულია თერმული წყლების გამოვლინებები. ისინი ანტიკლინის თაღურ ნაწილთან არიან კავშირში. თბილისის რაიონში 10 კმ^2 ფართობის ტერიტორიაზე გამოვლინებულია თერმული წყლების საბადო საერთო დებიტით 47 ლ/წმ-ში. აქ გავრცელებულია ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყლები საერთო მინერალიზაციით 0.7 გ/ლ-მდე. ამ წყლების ტემპერატურა 50 გრადუსამდე აღწევს. აუზის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილში გაშიშვლებული ზედა ცარცული ასაკის კარბონატული ნალექები შეიცავენ ნაპრალოვან და ნაპრალოვან-კარსტულ სხვადასხვა მინერალიზაციის წყლებს.

რაიონის ჩრდილოეთ პერიფერიებში, მტკვრისა და იორის შუამდინარეთში, შუა მიოცენის ნალექებთან დაკავშირებულია შედარებით მცირე ფოროვანი და ფოროვან-ნაპრალოვანი მაღალი მინერალიზაციის მეთან-იოდ-ბრომიანი ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყლების გამოვლინებები.

წყალდაწნევითი სისტემის აღმოსავლეთ ნაწილში, ზედა პლიოცენის ლაგუნურ-კონტინენტურ ნალექებთან არის დაკავშირებული, მცირე წნევიანი ჰიდროკარბონატულ კალციუმიანი წყლების გამოვლინებები.

II.6. სეისმოლოგია

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის, თბილისი-მანგლისის ქვეზონაში, რომელიც მნიშვნელოვნად გართულებულია ურთიერთგადამაკვეთი ტექტონიკური რღვევებით. არსებული სტატისტიკური მონაცემებით მაღალი მაგნიტუდის მიწისძვრებს, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ თანამედროვე საინჟინრო ნაგებობებს და გავლენა იქონიონ რელიეფის მორფოდინამიკაზე, არა ერთხელ ჰქონდა ადგილი, როგორც ისტორიულ, ასევე უახლოეს წარსულში.

თბილისში (6-7 ბალი) – 1283, 1318, 1803, 1827, 1859, 1909, 1920 და 2002 წლებში. XX საუკუნის განმავლობაში მომხდარი მიწისძვრების ბიძგების ხანგრძლივობა 2.1-დან 3.6 წამამდე მერყეობს. სეისმური ტალღების გავრცელების ხასიათი და მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია ტექტონიკური რღვევითი სტრუქტურების განლაგებაზე.

ქვემოთ მოგვყავს სეისმური ტალღების მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების მახასიათებლები საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში და მის მიმდებარედ, არსებული დასახლებული პუნქტებისათვის: დაბა კოჯორი - 0.14 მ/წმ^2; ქ. თბილისი - 0.17 მ/წმ^2; შინდისი - 0.14 მ/წმ^2; წავკისი - 0.14 მ/წმ^2; ტაბახმელა - 0.14 მ/წმ^2.

III. სპეციალური ნაწილი

III.1. საამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

საკვლევი უბანი საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 დანართის მიხედვით განეკუთვნება III (რთული) სირთულის კატეგორიას. საქართველოს ტექტონიკური დარაიონების (აკად. ე. გამყრელიძე, 2000 წ) მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის (III), ართვინ-ბოლნისის ბელტის (III_2), ბოლნისის (III_2^2) ქვეზონას. უბანი მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირეთში. ტერიტორიაზე განვითარებულია ხშირი ბალახოვანი საფარი. აღინიშნება, როგორც ხე-ბუჩქნაროვანი, ასევე წიწვოვანი ცალკე მდგომი ხეები. ზოგადად ტერიტორია, რომელის ფარგლებშიც განთავსებულია ჩვენს მიერ გამოკვლეული უბანი, ლიტერატურული წყაროებისა და ჩვენს მიერ ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მასალების მიხედვით, აგებულია ზედა პალეოგენური (P_2^2-N_1^1) ასაკის თხელ და საშუალო შრეებრივი, პირიტისა და თაბაშირის ჩანართებიანი სუბარგილიტებისაგან, რომლებსაც თავზე ადევს კაჭარ-კენჭნაროვანი წარმონაქნები და მძლავრი, ხვინჭა-ხრეშოვანი მასალის ჩანართებიანი თიხნარების ფენა, რომელიც თავის მხრივ ნაყარი გრუნტებითაა გადაფარული.

საინჟინრო-გეოლოგიურ ჭრილს შესწავლილ სიღრმეზე აქვს შემდეგი სახე:

I ფენა (tQ_4) - ნაყარი ფენა, თიხნარი, ხვინჭით, ხრეშით და მცენარეთა ფესვებით.

II ფენა (dpQ_4) - თიხნარი მოყვითალო ყავისფერი, ტენიანი, მყარი, მტვეროვანი, ხვინჭის და ღორღის ჩანართებით.

III ფენა (aQ_4) - კენჭნარი, გაწყლოვანებული, ქვიშის შემავსებლით.

IV ფენა (P_3-N_1^1) - სუბარგილიტები მუქი ნაცრისფერი-მოლურჯო, თხელ და საშუალო შრეებრივი, სუსტად დისლოცირებული, სუსტად გამოფიტული.

ქანების წოლის ელემენტებია: დაქანების აზიმუტი ს/დ 235^0-245^0. დახრის კუთხე 25^0-35^0.

გრუნტის წყლების გამოვლინება აღინიშნება 7.5-7.6 მეტრის სიღრმიდან, ხოლო სტატიკური (დამყარებული) დონე 4.6-4.8 მეტრია, ეს უკანასკნელი მიუთითებს ადგილობრივი წნევების არსებობაზე.

III.2. ლაბორატორიულ-გეოტექნიკური გამოკვლევების შედეგები

საველე საინჟინრო-გეოლოგიური და ლაბორატორიული გეოტექნიკური გამოკვლევების შედეგად სტანდარტი 20522-75-ის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ჩვენს მიერ გამოიყო 3 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე):

სგე-1, თიხნარი (შეესაბამება ფენა II);

სგე-2, კენჭნარი შევსებული ქვიშით (შეესაბამება ფენა III);

სგე-3, სუბარგილიტები მუქი ნაცრისფერი-მოლურჯო, საშუალო და თხელშრეებრივი, ქვიშაქვების იშვიათი შუაშრეებით, სუსტად დისლოცირებული, სუსტად გამოფიტული (შეესაბამება ფენა IV).

ნაყარი, როგორც სგე არ განიხილება, შესაბამისად ლაბორატორიული კვლევები მასზე არ ჩატარებულა. სიმკვრივე აღებულია ნორმატიული დოკუმენტებიდან და შეადგენს 1.4 გ/სმ³. დამუშავების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება - ჯგ. I, ს.ნ დაწ. ცხ-1-1,პ-9, ქპ. ვ.

საამშენებლო მოედანზე აღებული სინჯების ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგად მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები მოცემულია ცხრილებში 1-5. გრუნტის კომპრესიაზე და ძვრაზე ლაბორატორიული გამოცდის შედეგები მოცემულია გრაფიკებზე 1-3 და 4-6.

ზემოთ ჩამოთვლილი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტის გეოტექნიკური მახასიათებლები განისაზღვრა სნ და წ-ისა და სტანდარტების მიხედვით:

- საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები მშენებლობისათვის - ს.პ.11-105-97.
- გრანულომეტრიული შემადგენლობა - სტანდარტი 12.536-79.
- ფიზიკური თვისებები - სტანდარტი 51.80-84.
- სიმტკიცის მახასიათებლები - სტანდარტი 12.248-78.
- დეფორმაციის მახასიათებლები - სტანდარტი 23.408-79.
- გრუნტების კლასიფიკაცია - სტანდარტი 25.100-82.
- გრუნტების საანგარიშო წინააღმდეგობა R_0 -პნ 01.02-08 (ნაგებობათა ფუძეები).
- ზღვრული წინააღ.ერთღერძა კუმშვაზე Rs კგძ/სმ²-პნ 01.02-08 (ნაგებობათა ფუძეები).
- კლიმატური პირობები – პნ. 01.05-08(„საამშენებლო კლიმატოლოგია“).
- გრუნტ. და საამშ. მოედნის სეისმურობა-პნ. 01.01. 09 ცხრ.1.(სეისმომედეგი მშენებლობა).
- ექსპ.მონაცემების დამუშავება ვარიაციული სტატ. მეთოდებით - სტანდარტი 20-522-75.
- საამშენებლო კონსტრუქციების დაცვა კოროზიისაგან - სნ.და წ.2.03.11-85;
- წყლის აგრესიულობა - სტანდარტი 10178-76.

სგე-1, თიხა

ნორმატიული სიდიდეები:

- ბუნებრივი ტენიანობა, W^n % – 23.2

- სიმკვრივე გ/სმ³:

ა) ბუნებრივი, ρ – 2.03

ბ) ჩონჩხის, ρ_d^n –1.65

- ფორიანობა, n % - 40

- ფორიანობის კოეფიციენტი, e^n – 0.661

- წყალშემცველობის ხარისხი Sr – 0.96

- დეფორმაციის მოდული, E^n კგძ/სმ² (პნ. 02.01.08)

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში - 220

- შინაგანი ხახუნის კუთხე - φ^n, გრადუსებში (პნ. 02.01.08)

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში – 20^0 ($tg\varphi=0.3640$)

- შეჭიდულობა C^6 კგძ/სმ²: (პნ. 02.01.08)

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში – 0.68

- კონსისტენციის მაჩვენებელი, J_L-0.07(ნახევრად მყარი).

საანგარიშო სიდიდეები:

- ტენიანობა, W%, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95, W – 24.3-22.2

- ბუნებრივი სიმკვრივე, ρ გ/სმ^3, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 ρ_d – 2.05-2.01

- ჩონჩხის სიმკვრივე, ρ_d გ/სმ^3, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 ρ_d – 1.68-1.62

- ფორიანობის კოეფიციენტი, e, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 e – 0.692-0.630

- პლასტიკურობის რიცხვი J_P, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 J_P – 20-18

- დეფორმაციის მოდული, E კგძ/სმ^2 – 220 (უსაფრთხ. კოეფიც. - 1.0 გათვალისწინებით).

- შინაგანი ხახუნის კუთხე - φ, გრადუსებში (უსაფრთხ. კოეფიც. - 1.15 გათვალისწინებით).

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში – 17^{0}34' (tgφ = 0.3165)

- შეჭიდულობა, C კგძ/სმ^2 (უსაფრთხოების კოეფიციენტი - 1.5 გათვალისწინებით).

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში – 0.42

- საანგარიშო წინააღმდეგობა, კონსისტენციის J_L 0.07 და ფორიანობის კოეფიც. e=0.661 პირობებში, შეადგენს R_0 = 2.5 კგძ/სმ^2.

- ჯდენის მოდული, l_p მმ/მ - 53.0 (მომეტებული)

- კუმშვადობის კოეფიციენტი, α მპა$^{-1}$ – 0.027 (მომეტებული)

- ქვაბულის ქანობი - 1:0.5 (63^0) სიღრმე 3 მეტრი; 1:0.25 (76^0) სიღრმე 5 მეტრი.

- საგების კოეფიციენტი, K კგ/სმ^3 - 0.4

- პუასონის კოეფიციენტი, μ - 0.41

- გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II.

- გრუნტის დამუშავების კატეგორია - III, სნ და წ. IV-2- 82, ცხრ.1-1, პ-33.

სგე-2, კენჭნარი შევსებული ქვიშით

ნორმატიული სიდიდეები:

- ბუნებრივი ტენიანობა, W^n % – 11.5

- სიმკვრივე გ/სმ^3:

ა) ბუნებრივი ρ^n– 2.15

ბ) ჩონჩხის, ρ_d^n – 1.92

- ფორიანობის კოეფიციენტი, e^n – 0.390

- წყალშემცველობის ხარისხი, Sr - 0.85

- შინაგანი ხახუნის კუთხე - φ^n, გრადუსებში (პნ. 02.01.08):

ა. ბუნებივი ტენიანობის პირობებში - 40^0 ($tg\varphi^n$=0.8391)

- შეჭიდულობა - C^nკგძ/სმ^2 (პნ. 02.01.08):

ა. ბუნებივი ტენიანობის პირობებში - 0.03

- დეფორმაციის მოდული E^n, კგძ/სმ^2 – 500 (პნ. 02.01.08)

საანგარიშო სიდიდეები:

- ტენიანობა, W %, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 W – 12.8-10.2

- ბუნებრივი სიმკვრივე, ρ გ/სმ^3, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 ρ_d – 2.20-2.10

- ჩონჩხის სიმკვრივე, ρ_d გ/სმ^3, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 ρ_d – 1.94-1.90

- ფორიანობის კოეფიციენტი, e, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 e – 0.403-0.377

- შინაგანი ხახუნის კუთხე - φ, გრად-ში (უსაფრთ. კოეფიც. $K_უ$=1.15 გათვალისწინებით) - $36^0$7' ($tg\varphi_ს$=0.7297).

- შეჭიდულობა, C კგძ/სმ^2 (უსაფრთხ. კოეფიც. $K_უ$=1.5 გათვალისწინებით) - 0.02 კგძ/სმ^2.

- დეფორმაციის მოდული E კგძ/სმ^2 (უსაფრთხოების კოეფიციენტის $K_უ$=1.0 გათვალისწინებით) - 500 კგძ/სმ^2.

- საანგარიშო წინააღმდეგობა R_0 კგძ/სმ^2, ფორიანობის კოეფიციენტის e = 0.390-ის და საშუალო სიმსხვილის პირობებში, შეადგენს 5.0 კგძ/სმ^2.

- საგების კოეფიციენტი, K - 12 კგძ/სმ^3

- პუასონის კოეფიციენტი, μ - 0.30

- გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით – II

- გრუნტის დამუშავების კატეგორია–ჯგ.IV.სნ და წ.IV-2-82. ცხრ.1-1. პ.6; ქპ.გ.

სგე-3, სუსტად გამოფიტული, სუსტდ დისლოცირებული სუბარგილიტები.

საანგარიშო სიდიდეები

- სიმკვრივე გ/სმ^3 – 2.10

- წინააღმდეგობა ერთღერძა კუმშვაზე, R_{sw} მპა:

ა) წყალგაჯერებულ მდგომარეობაში -12.3

- პუასონის კოეფიციენტი, μ -0.20

- გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - I.

- გრუნტის დამუშავების კატეგორია - V, სნ და წ. IV-2- 82, ცხრ.1-1, პ.3,ქ პ.ბ.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ძირითადი ნორმატიული და საანგარიშო პარამეტრები.

№	გრუნტების მახასიათებლები	საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები				
		ინდ.	განზ.	სგე-1	სგე-2	სგე-3
1	ბუნებრივი ტენიანობა	W	%	23.2	11.5	-
2	სიმკვრივე ბუნებრივი	ρ	გ/სმ³	2.03	2.15	2.10
3	სიმკვრივე ჩონჩხის	ρ_d	გ/სმ³	1.65	1.92	-
4	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ.ნაწ.	0.661	0.390	-
-5	პლასტიკურობის რიცხვი	J_L	ერთ.ნაწ.	19	-	-
-6	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კგძ/სმ²	0.42	0.02	-
-7	შინაგანი ხახუნის კუთხე	φ^0	გრად.	17⁰34’	36⁰7’	-
8	კონსისტენციის მაჩვენებელი	J_L	ერთ.ნაწ.	0.07	-	-
9	წყალშემცველობის ხარისხი	Sr	ერთ.ნაწ.	0.96	0.85	-
10	დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ²	220	500	-
11	ჯდენის მოდული	l_p	მმ/მ	43.0	-	-
12	კუმშვადობის კოეფიციენტი		მპა$^{-1}$	0.027	-	-
13	საანგარიშო წინაღმდეგობა	R_0	კგძ/სმ²	2.5	5.0	-
14	ზღვრული წინაამღდ. ერთღერძა კუმშვაზე წ/გ მდგომარეობაში	R_{sw}	კგძ/სმ²	-	-	12.3
15	საგების კოეფიციენტი	K	კგ/სმ³	0.4	12	-
16	პუასონის კოეფიციენტი	μ	-	0.41	0.30	0.20

III.3. გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგი

საანალიზოდ გადმოცემული წყლის სინჯი აღებულია ქ. თბილისში, საჯაიას ქუჩის №1-ის ტერიტორიაზე გაყვანილი №1ჭაბურღილიდან. წყლის სინჯის საერთო მინერალიზაციის სიდიდე - M = 2.76 გ/ლ ტოლია, რომლითაც მომლაშო წყლების კატეგორიას მიეკუთვნება, ხოლო ქიმიურ შედგენილობა წარმოდგენილია როგორც სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმიან-ნატრიუმიანი. წყალბად-იონების კონცენტრაციის მაჩვენებლით რეაქცია ნეიტრალურია (pH=6.93). განსახილველი წყლის სინჯი პორტლანდცემენტის ბეტონის მიმართ სხვადასხვა ხარისხის „ძლიერ“ და „სუსტ“ აგრესიულობას ავლენს წყალშეღწევადობის შესაბამისად. წიდა-პორტლანდცემენტის და სულფატმედეგი ცემენტის მარკის ბეტონის მიმართ არ ხასიათდება აგრესიულობით. რკინა-ბეტონის კონსტრუქციის არმატურაზე გაანალიზებული წყლის სინჯების აგრესიული ზემოქმედება მუდმივად წყალში დასველების პირობებში ფასდება როგორც „არა“, ხოლო პერიოდული დასველებით – „სუსტი“. იმავე გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა სამშენებლო ნორმების და წესების ინსტრუქციის მიხედვით ფასდება როგორც „საშუალო“.

ანალიტიკოსი Tamar Mikava 51001030421 Digitally signed by Tamar Mikava Date: 2024.07.31 18:14:06 თ. მიქავა

IV. დასკვნები და რეკომენდაციები

1. საკვლევი უბანი საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 დანართის მიხედვით განეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას.

2. საკვლევი და მის მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საშიში თანამედროვე საინჟინრო-გეოლოგიური პროცესების კვალი, ან ამჟამად მიმდინარეობა არ აღინიშნება. საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით უბანი მდგრადია და არსებული პირობები მშენებლობისათვის მისაღებია.

3. საკვლევ უბანზე გაყვანილ სამთო გამონამუშევრებში გრუნტის წყლები გამოვლინდა 7.5-7.6 მეტრის სიღრმიდან. სტატიკური დონეა 4.5-4.7 მეტრი. წყლის აგრესიულობა იხ. ცხრილსი 6, თავში III.3..

4. შენობის დასაფუძნებელ გრუნტად, შეიძლება გამოყენებულ იქნას სგე-1-ის გრუნტები (თიხები), სგე-2-ის კენჭნარები, ასევე სგე-3-ის ნახევრად კლდოვანი ქანები. საძირკვლის ტიპად შეიძლება შერჩეულ იქნას: **ა.** რ/ბეტონის ფილა; **ბ.** წერტილოვანი (ანაკრები). შენობის სგე-1-ზე (თიხებზე) დაფუძნების პირობებში სასურველია მიღებულ იქნას რ/ბეტონის ფილის ტიპი. საძირკვლები განთავსდეს წინასწარ მოწყობილ ბალასტის ნაყარზე, რომელიც უნდა დაიტკეპნოს 20-25 სმ-იან ფენებად მაქსიმალურ სიმკვრივემდე.

5. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონას, შესაბამისად გრუნტების სეისმური თვისებებისა და რეგიონის სეისმურობის გათვალისწინებით, საამშენებლო მოედნის სეისმურობად მისაღებია - 8 ბალი. (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი. საამშენებლო ნორმებისა და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) - დამტკიცების შესახებ.

ინჟინერ-გეოლოგი ს. კანდელაკი

გრუნტების ფიზიკური თვისებების ლაბორატორიული კვლევების შედეგების კრებსითი ცხრილი

№ რიგის	ლაბორატ. №	გამონამუშ. №	ნიმუშების სიღრმე, მ	გრუნტის დასახელება	ბუნებრივი ტენიანობა %	პლასტიკურობის ზღვრები			ფორიანობა, %	ფორიანობის კოეფიციენტი	წყალმედეგობის ხარისხი	სიმკვრივე გ/სმ³			კონსისტენციის მაჩვენებელი	კომპრესიული მონაცემები			სიმტკიცის მახასიათებლები			სანგ. წინააღმდეგობა კგძ/სმ²	ზღვრ. წინააღმ. ერთღერძა კუმშვაზე, მპა		
						ზედა	ქვედა	რიცხვი				მინერ. ნაწილის	ბუნებრივი	ჩონჩხის		ჯდენის მოდული მმ/მ	კუმშვადობის კოეფიც. მპა⁻¹	დეფორმაციის მოდული	შიდა ხახუნის კუთხე, გრად.	შიდა ხახუნის კოეფიციენტი	შეჭიდულობა, კგძ/სმ²		ბუნ.ტენიანობის პირობებში	წყალგაჯერებ. მდგომარეობაში	დარბილების კოეფიციენტი
1	2	3	4	5	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
-	-	ჭაბ.	-	-	W	W_L	W_P	Jp	n	e	Sr	ρ_s	ρ	ρ_d	J_L	l_p	α	E	φ⁰	tgφ	C	R_0	Rs	R_{sw}	K_{sof}
1	313	1	1.5	სგე-1, თიხნარი	25.5	0.45	0.25	20	0.42	0.728	0.96	2.73	1.99	1.58	0.03	47	0.024	-	19	0.	0.55	-	-	-	-
2	314	2	2.5		23.0	0.41	0.22	19	0.40	0.655	0.96	2.73	2.03	1.65	0.05	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
3	315	3	3.5		22.6	0.38	0.20	18	0.39	0.645	0.96	2.73	2.04	1.66	0.144	59	0.03	-	21	0.	0.50	-	-	-	-
4	316	4	4.5		22.5	0.41	0.22	19	0.39	0.635	0.97	2.73	2.05	1.67	0.03	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
5	317	5	5.5		23.8	0.41	0.22	19	0.40	0.675	0.96	2.73	2.02	1.63	0.09	53	0.027	-	20	0.	0.525	-	-	-	-
6	318	5	6.0		21.9	0.39	0.21	18	0.38	0.625	0.96	2.73	2.05	1.68	0.05	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
				საშუალო	23.2	0.41	0.22	19	0.40	0.661	0.96	2.73	2.03	1.65	0.07	53.0	0.027	-	-	-	0.53				
1	323	1	8.2	სგე-2, კენჭნარი	10.2	-	-	-	27.5	0.380	0.71	2.65	2.12	1.92	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2	324	2	7.5		13.4	-	-	-	26.7	0.368	0.99	2.65	2.22	1.94	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
3	325	3	8.0		11.1	-	-	-	28.6	0.402	0.73	2.65	2.10	1.89	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
4	326	4	7.8		10.6	-	-	-	28.3	0.395	0.96	2.65	2.11	1.90	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
5	327	5	8.5		10.2	-	-	-	27.5	0.380	1.0	2.65	2.12	1.92	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
6	328	5	10.0		13.4	-	-	-	26.7	0.368	0.71	2.65	2.22	1.94	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
				საშუალო	11.5	-	-	-	27.6	0.390	0.85	2.65	2.15	1.92	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
1	1	1	12.0	სგე-3, სუბარგი-ლიტები	-	-	-	-	-	-	-	-	2.10	-	-	-	-	-	-	-	-	-	20.2	12.3	0.6
2	2	2	11.8		-	-	-	-	-	-	-	-	2.00	-	-	-	-	-	-	-	-	-	19.7	12.0	0.6
3	3	3	12.5		-	-	-	-	-	-	-	-	2.20	-	-	-	-	-	-	-	-	-	20.9	12.6	0.6
				საშუალო	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	20.3	12.3	0.6

ინჟინერ-გეოლოგი ს. კანდელაკი / 08.08.2024 წ./

ცხრილი 2

გრანულომეტრიული შემადგენლობის განსაზღვრის შედეგები

რიგის N	ნიმუშის აღების ადგილი		ლაბორატორიის N	გრანულომეტრიული შემადგენლობა, %															ფრაქციების შემცველობა, %	
				ფრაქციათა ზომები, მმ-ში																
				ღორღი, კენჭები				ხვინჭა, ხრეში				ქვიშა					მტვერი		თიხა			
	ჭაბურღ. N	სიღრმე, მ		> 60	>40	40-20	20-10	10-7	7-5	5-3	3-2	2-1	1.0-0.5	0.5-0.25	0.25-0.1	0.1-0.05	0.05-0.01	0.01-0.005	0.005-0.001	< 0.001	d>2 მმ-ზე მსხვ. მარცვლოვანი	d<2 მმ-ზე, წვრ. მარცვლოვანი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23
				სგე-1, თიხნარი																		
საშუალო				-	4.5	5.0	5.1	4.2	2.3	1.0	3.2	7.2	8.1	6.4	7.7	4.6	8.2	3.3	18.0	11.2	25.3	74.7
				კენჭები, ღორღი - 14.6%				ხვინჭა, ხრეში - 10.7%				ქვიშა - 34.0%					მტვერი-11.5%		თიხა-29.2%			

რიგის N	ნიმ. აღებ. ადგილი		ლაბორატორიის N	გრანულომეტრიული შემადგენლობა, %											ფრაქციების შემცველობა, %	
				ფრაქციათა ზომები, მმ-ში												
	ჭაბურღ.N	სიღრმე, მ		> 60	>40	40-20	20-10	10-5	5-2	2-1	1.0-0.5	0.5-0.25	0.25-0.1	< 0.1	d>2 მმ-ზე მსხვ. მარცვლოვანი	d<2 მმ-ზე, წვრ. მარცვლოვანი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
				სგე-2, კენჭნარი												
საშუალო				-	25.9	19.9	18.4	9.9	6.6	6.4	3.2	3.2	4.8	3.0	80.7	19.3
				კენჭები -64.2%				ხრეში - 16.5%		ქვიშა - 17.6%				თიხა-1.7%		

ინჟინერ-გეოლოგი ს. კანდელაკი / 08.08.2024 წ./

ცხრილი 3

გრუნტების მახასიათებლების ექსპერიმენტული მონაცემების ვარიაციული სტატისტიკის მეთოდებით დამუშავების შედეგები სტანდარტის 20522-75 მიხედვით

N	გეოტექნიკური მახასიათებლები	ექსპერიმენტ. რ-ბა, n	ვარიაციის კოეფიციენტი. ν	საშ. კვადრ. გადახრა, σ	საშ.კვად.გადა-ხრის გადაად. შეფასება $\sigma_{გად.}$	პირობის $\lvert \bar{A}-A_i \rvert < \nu\ \sigma_{გად.}$ დაკმაყოფ. რ-ბა	მახასიათებ. ნორმატიული სიდიდე $A^{ნ}$	საშ. მნიშვნ. შეფასების სიზუსტის მაჩვენებელი ცალმხრივი α სანდო P ალბათობის პირობებში			საანგარიშო სიდიდე, $A^{ს}$		
								α=0.85	α=0.95	α=0.99	α=0.85	α=0.95	α=0.99
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
	სგე-1, თიხნარი												
1	ბუნებრივი სიმკვრივე, ρ გ/სმ³	6	0.0112	0.0228	0.0208	6	2.03	-	0.0092	-	-	2.05-2.01	-
2	ჩონჩხის სიმკვრივე, ρ_d გ/სმ³	6	0.0222	0.0366	0.0314	6	1.65	-	0.0182	-	-	1.68-1.62	-
3	ფორიანობის კოეფიციენტი, e	6	0.0264	0.0373	0.0340	6	0.661	-	0.0463	-	-	0.692-0.630	-
4	ტენიანობა,W %	6	0.0553	1.2829	1.1712	6	23.2	-	0.0454	-	-	24.3-22.2	-
5	პლასტიკურობის რიცხვი, J_P	6	0.0408	0.7746	0.7071	6	19	-	0.0335	-	-	20 -18	
	სგე-2, კენჭნარი												
1	ბუნებრივი ტენიანობა,W %	6	0.1328	1.5271	1.3940	6	11.5	-	0.1090	-	-	12.8-10.2	-
2	ბუნებრივი სიმკვრივე, ρ გ/სმ³	6	0.0261	0.0560	0.0512	6	2.15	-	0.0214	-	-	2.20-2.10	-
3	ჩონჩხის სიმკვრივე, ρ_d გ/სმ³	6	0.0107	0.0205	0.0187	6	1.92		0.0088	.-	-	1.94-1.90	-
4	ფორიანობის კოეფიციენტი, e	6	0.0419	0.0163	0.0149	6	0.390	-	0.0344	-	-	0.403-0.377	-

ინჟინერ-გეოლოგი ს. კანდელაკი / 09.08.2024 წ./

ბრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული კვლევის შედეგები

ცხრილი 4

ობიექტის დასახელება	რიგითი ნომერი	ჭაბურღილის ნომერი	ნიმუშის სვეტის ნომერი	ნიმუშის ალების სიღრმე, მ.	ნიმუშის სახე	ნიმუშის ლაბორატორიული ნომერი	ნიმუშის დასახელება ნიმუშის აგებულების მიხედვით	ფიზიკური თვისებები											მექანიკური თვისებები						
								პლასტიკურობა			სიმკვრივე, გ/სმ³								კუმშვადობა			სიმტკიცე ძერა			
																			ბუნებრივ მდგომარეობაში			ბუნებრივ მდგომარეობაში			
								დენადობის ზღვარი, W_L	პლასტიკურობის ზღვარი, W_p	პლასტიკურობის რიცხვი, I_p, %	მშრალი ნაწილაკების სიმკვრივე, $\square_s$	ბუნებრივი მდგომარეობის გრუნტის, $\square$	წონის სიმკვრივე, $\square_d$	ტენიანობა, W	ფორიანობა, n	ფორიანობის კოეფიციენტი, e	სრული ტენტევადობა, Wsaf	ტენიანობის ხარისხი, Sr	დენადობის მაჩვენებელი, I_L	კუთრის ძალები **Lp** მპა **P=3.0 კგ/სმ²**	კუმშვადობის კოეფიციენტი, 1-2 $\alpha 10^{-5}$ **Па**$^{-1}$	საშუალო დეფორმაციის მოდული, 1-2 $E_d 10^5$ **Па**	შიგა ხახუნის კუთხე, φ°	შეჭიდულობა, $C10^5$ ПА	I_{ss}	მაჩვენებელი,	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27
ქ. თბილისი საჯიას ქუჩა №1 ს/ქ 01.19.23.009.157.	1	ჭაბ.№1	1	1,5	მონ.	313	თიხა	0,45	0,25	20	2,73	1,99	1,58	0,256	0,42	0,728	0,27	0,96	0,03	47	0,024	35	19	0,550	0,29	
	2	ჭაბ.№2	1	2,5	მონ.	314	თიხა	0,41	0,22	19	2,73	2,03	1,65	0,230	0,40	0,655	0,24	0,96	0,05	-	-	-	-	-	0,28	
	3	ჭაბ.№3	1	3,5	მონ.	315	თიხა	0,38	0,20	18	2,73	2,04	1,66	0,226	0,39	0,645	0,24	0,96	0,144	59	0,030	21	21	0,500	0,24	
	4	ჭაბ.№4	1	4,5	მონ.	316	თიხა	0,41	0,22	19	2,73	2,05	1,67	0,225	0,39	0,635	0,23	0,97	0,03	-	-	-	-	-	0,30	
	5	ჭაბ.№5	1	5,5	მონ.	317	თიხა	0,41	0,22	19	2,73	2,02	1,63	0,238	0,40	0,675	0,25	0,96	0,09	53	0,027	24	20	0,525	0,26	
	6	ჭაბ.№5	2	6,0	მონ.	318	თიხა	0,39	0,21	18	2,73	2,05	1,68	0,219	0,38	0,625	0,23	0,96	0,05	-	-	-	-	-	0,27	

ლაბორატორიის უფროსი: /ნ. ხმელიძე/

შესრულების თარიღი: 25.07.2024-04.08.2024

გრუნტის კომპრესიაზე გამოცდის შედეგები

გრაფიკი 1

ობიექტი:
ქ. თბილისი საჯაიას ქუჩა №1
ს/კ 01.19.23.009.157

ჭაბ №1

ნიმუში №1

ნიმუშის აღების ინტერვალი 1.5 მ

ნიმუშის სახე: მონოლითი

გრუნტის დასახელება: თიხა

გ რ უ ნ ტ ი ს გ ა მ ო ც დ ი ს გ რ ა ფ ი კ ი



გამოცდის რეჟიმი: ბუნებრივ მდგომარეობაში

გამოცდის შედეგები						
წნევა გრუნტის ნიმუშზე, $P\ 10^5$ Па	აბსოლუტური კუმშვადობა, Δh, мм	შეფარდებითი კუმშვა, Δ h/h: ცდით, ε	შეფარდებითი კუმშვა, Δ h/h: შესწორ-ებით, ε'	ფორიანობის კოეფიციენტი e	კუმშვადობის კოეფიციენტი $\alpha\ 10^{-5}$ Па$^{-1}$	საერთო დეფორმაციის მოდული, $E_0\ 10^5$ Па
0.0	-	-	-	0.728	-	-
0.5	0.38	0.015	0.015	0.702	0.052	17
1.0	0.65	0.026	0.026	0.683	0.038	22
1.5	0.83	0.033	0.034	0.669	-	-
2.0	1.00	0.040	0.040	0.659	0.024	35
2.5	1.10	0.044	0.044	0.652	-	-
3.0	1.18	0.047	0.047	0.647	0.012	69
დასვ.	1.18	0.047	0.047	0.647	-	-

ლაბორატორიის უფროსი: ნ. ხმელიძე

ლაბორატორიული ნომერი №313

გრუნტის მახასიათებლები				
პლასტიკურობა	დენადობის ზღვარი, W_L	1	0.45	-
პლასტიკურობა	პლასტიკურობის ზღვარი, W_P	2	0.25	-
პლასტიკურობა	პლასტიკურობის რიცხვი, I_P %	3	20	-
სიმკვრივე გ/სმ³	მინერალური ნაწილაკის ρ_S	4	2.73	-
სიმკვრივე გ/სმ³	გრუნტის ბუნებრივი მდგომარეობის ρ	5	1.99	-
სიმკვრივე გ/სმ³	ჩონჩხის, ρ_d	6	1.58	-
	ტენიანობა, W	7	0.256	-
	ფორიანობა, n	8	0.42	-
	ფორიანობის კოეფიციენტი, e	9	0.728	-
	სრული ტენტევადობა, W_{sat}	10	0.27	-
	ტენიანობის ხარისხი, S_r	11	0.96	-
	დენადობის მაჩვენებელი, I_L	12	0.03	-
	ფილტრაციის კოეფიციენტი, K_ϕ მ/დღ-ღ-ში	13	-	-
გაჯირჯვება	თავისუფალი გაჯირჯვება, ε_{sw}	14	-	-
გაჯირჯვება	გაჯირჯვების წნევა, $P_{sw} 10^5$ Па	15	-	-
გაჯირჯვება	გაჯირჯვების ტენიანობა, W_{sw}	16	-	-
ჯდომადობა	ფარდობითი ჯდომადობა ε_{sl}	17	-	-
ჯდომადობა	ჯდომადობის საწყისი წნევა, $P_{sl} 10^5$ Па	18	-	-
ჯდომადობა	ჯდენის ტენიანობა, W_{sl}	19	-	-

გრუნტის კომპრესიაზე გამოცდის შედეგები

გრაფიკი 2

ობიექტი:
ქ. თბილისი საგურამოს ქუჩა №1
ს/კ 01.19.23.009.157

ჭაბ №3
ნიმუში №1
ნიმუშის ალების ინტერვალი 3.5 მ
ნიმუშის სახე: მონოლითი
გრუნტის დასახელება: თიხა

გ რ უ ნ ტ ი ს გ ა მ ო ც დ ი ს გ რ ა ფ ი კ ი



გამოცდის რეჟიმი: ბუნებრივ მდგომარეობაში

გამოცდის შედეგები						
წნევა გრუნტის ნიმუშზე, P 10⁵ Па	აბსოლუტური კუმშვადობა, Δh, მმ	შეფარდებითი კუმშვა, Δ h/h		ფორიანობის კოეფიციენტი e	კუმშვადობის კოეფიციენტი a 10⁵ Па⁻¹	საერთო დეფორმაციის მოდული, E_0 10⁵ Па
		ცალი, ε	გრაფიკით, ε			
0.0	-	-	-	0.645	-	-
0.5	0.43	0.017	0.018	0.615	0.060	11
1.0	0.75	0.030	0.030	0.596	0.038	17
1.5	1.03	0.041	0.040	0.579	-	-
2.0	1.20	0.048	0.048	0.566	0.030	21
2.5	1.35	0.054	0.054	0.556	-	-
3.0	1.48	0.059	0.059	0.548	0.018	35
დასვ.	1.48	0.059	0.059	0.548	-	-

ლაბორატორიის უფროსი: ნ. ხმელიძე

ლაბორატორიული ნომერი №315

გ რ უ ნ ტ ი ს მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ლ ე ბ ი

პლასტიკურობა	დენადობის ზღვარი, W_L	1	0.38	-
	პლასტიკურობის ზღვარი, W_P	2	0.20	-
	პლასტიკურობის რიცხვი, I_P %	3	18	-
სიმკვრივე გ/სმ³	მინერალური ნაწილაკის ρ_s	4	2.73	-
	გრუნტის ბუნებრივი მდგომარეობის ρ	5	2.04	-
	ჩონჩხის, ρ_d	6	1.66	-
ტენიანობა, W		7	0.226	-
ფორიანობა, n		8	0.39	-
ფორიანობის კოეფიციენტი, e		9	0.645	-
სრული ტენტევადობა, W_{sat}		10	0.24	-
ტენიანობის ხარისხი, S_r		11	0.96	-
დენადობის მაჩვენებელი, I_L		12	0.144	-
ფილტრაციის კოეფიციენტი, $K_ф$ მ/დღ-ღ-ში		13	-	-
გაჯირკვება	თავისუფალი გაჯირკვება, ε_{sw}	14	-	-
	გაჯირკვების წნევა, $P_{sw}10^5$ Па	15	-	-
	გაჯირკვების ტენიანობა, W_{sw}	16	-	-
კუმშვადობა	ფარდობითი კუმშვადობა ε_d	17	-	-
	კუმშვადობის საწყისი წნევა, P_d10^5 Па	18	-	-
	კუმშვის ტენიანობა, W_{SL}	19	-	-

